საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030161500530615

№ 01-251/ო **11** / აგვისტო / **2015** წ.

„იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატების (სისხლის **VIII** და **IX** ფაქტორ-კონცენტრატების) გამოყენება-განაწილების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2012** წლის **30** მარტის **N01-66**/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატების (სისხლის VIII და IX ფაქტორ-კონცენტრატების) გამოყენება-განაწილების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 30 მარტის N01-66/ო ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შესაბამისი წლის „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის“ ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის № 249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი დავით სერგეენკო